



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 26 ივნისი

**დისციპლინური საქმე №139-18-3
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

--- 2018 წლის 18 მაისის №- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 25 ივლისის №1614/139-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2018 წლის 10 სექტემბერს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერებას ხდის სადავოდ. საჩივრის ავტორის განცხადებით, საკასაციო საჩივრის დასაშვებობაზე სასამართლოს უნდა ემსჯელა 2018 წლის 20 მაისს (კვირა დღეს), თუმცა 2018 წლის 15 მაისს უმსჯელია და საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინება მიუღია. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქმედება დისკრიმინაციული და შემზღვევითი იყო. ამასთან, აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ მისცა გონივრული საპროცესო ვადა ხარვეზის შესავსებად.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

--- 2016 წლის 15 ივნისს სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის --- მიმართ უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნით.

2016 წლის 27 ივნისს მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

--- სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით --- სარჩელი დაკმაყოფილდა; --- უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა მდებარე --- და უძრავი ქონება თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა მესაკუთრე ---.

2017 წლის 10 მარტს -- -- სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს -- -- 2017 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება.

2018 წლის 12 მარტს -- -- საკასაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს, -- სააპელაციო სასამართლოს -- - 2018 წლის 18 იანვრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

11.04.2018; 16.04.2018 წ. განცხადებით მიმართა სასამართლოს -- -- და ხარვეზის შევსებასთან დაკავშირებით დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელება ითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 30.03.2018; 12.04.2018; 18.04 2018 წლის განჩინებებით -- -- გაუგრძელდა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის განჩინებით -- -- საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

2018 წლის 3 მაისს კასატორის წარმომადგენელს - -- -- დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწე და აცნობა, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე 2018 წლის 4 მაისს განიხილავდა სასამართლო -- -- საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 4 მაისის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი განუხილველი დარჩა; -- -- შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 25 მაისს -- -- სასამართლოში გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია). „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან ათი დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს აღნიშნული მუხლის მოთხოვნებს, იგი წარმოებაში მიიღება ამ კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საჩივრის ავტორის მითითება, რომ არ ეცნობა მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის განხილვის თარიღი არ დასტურდება. საქმის მასალების მიხედვით კასატორის წარმომადგენელს 2018 წლის 3 მაისს დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწე და აცნობა, რომ სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე 2018 წლის 4 მაისს განიხილავდა -- -- საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს. ამასთან აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა სამჯერ გაუგრძელა კასატორს, რამაც საერთო ჯამში შეადგინა 23 დღე. პ

ამდენად, მოსამართლე განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აღნიშნული საკითხის შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის N^oდს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს

კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 10 სექტემბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი